საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

**Minister of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia**

KA030106130992120

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

**№ 01/6930** **23 / ივნისი / 2020 წ.**

ქალაქ თბილისის მერს
ბატონ კახა კალაძეს

ბატონო კახა,

გვაქვს პატივი, მოგიწვიოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სპეციალიზირებული მცირე საოჯახო ტიპის სახლის გახსნის ღონისძიებაზე, რომელიც გაიმართება 25 ივნისს, 13:30 საათზე (მის: ქ. თბილისი, ქერჩის ქუჩა #4).

საოჯახო ტიპის სახლის მშენებლობა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურის ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვების ოჯახთან მიახლოებულ გარემოში აღზრდასა და მათზე ზრუნვის ხარისხის გაუმჯობესებას.

დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ფარგლებში, აღნიშნულ სახლში გადავლენ „თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში" მყოფი ბენეფიციარები, არაუმეტეს 10 ბავშვისა.

გთხოვთ თქვენს მონაწილეობას ბავშვთა საოჯახო ტიპის სახლის გახსნის ცერემონიალში. აღნიშნულ ღონისძიებას ასევე დაესწრება ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ქალბატონი კელი დეგნანი.

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე